ოქმი:**ო37. 3724305001**

თარიღი:**31/10/2024**

ოქმი N 13

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი

სხდომის

2024 წელი, 30 ოქტომბერი

ქ. ოზურგეთი

11:00 – 12:45 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია - მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: ლ. ბიგვავა; საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები: ტ. არუშიძე, ნ. ჭანიშვილი; მუდმივმოქმედი კომისიების თავმჯდომარეები: დ. ჭაკნელიძე, ბ. თოიძე, გ. ჩავლეშვილი ქ. ხომერიკი; ფრაქციის თავმჯდომარე- მ. ჩხიკვიშვილი;მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: მ. ვაშალომიძე, ნ. ქარჩავა, ხ. ცერცვაძე, გ. კილაძე, ე. გორდელაძე, ლ. კილაძე, გ. მდინარაძე, ალ. ღლონტი, ვლ. ხავთასი, ნ. ღაჟონია, ნ. ურუშაძე, დ. მდინარაძე, ნ. ნადირაშვილი, ნ. მახარაძე, ვ. ნიჟარაძე, თ. ტუღუში, ნ. სარჯველაძე.

მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები, საზოგადოებისა და მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე, დავით დარჩია მიესალმა საკრებულოს წევრებს, მიაწოდა ინფორმაცია ქვორუმზე, საკრებულოს 45 წევრიდან რეგისტრაცია გაიარა 26 -მა, საკრებულო უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ დავით დარჩიამ საკრებულოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს 26-ხმით.

დღის წესრიგი

14.1.,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოციალური მიზნის მქონე პროექტების თანადაფინანსების პროგრამის განხორციელების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

ქეთევან ხომერიკი

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 26- ხმით

საკითხის გაცნობანდე თამამომხსენებელმა გ. ღურჯუმელიძემ მოკლედ ისაუბრა 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგებზე, მათ შორის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შედეგებზეც, მადლობა გადაუხადა და მიულოცა ამომრჩევლებს, მხარდამჭერებსა და გუნდს ღირსეული გამარჯვება, აღნიშნა, რომ მოსახლეობამ საკადრისი პასუხი გასცა ოპოზიციურ პარტიებს, რომლებმაც ბარიერი ძლივს გადალახეს, შემდეგ საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი. საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბიგვავამ განაცხადა, რომ მიესალმება ამ დადგენილების მიღებას, იგი ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში მეწარმეობის განვითარებას, შესაბამისად, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას.

დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ ქ. ხომერიკმა განაცხადა, რომ კომისიამ იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და მხარს უჭერს მის დამტკიცებას.

54.2.საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

ბექა თოიძე

განკარგულება თან ერთვის

მირებულ იქნა 26- ხმით

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბიგვავამ განაცხადა, ცუდია რომ სხდომას ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლები არ ესწრებიან, თორემ დაინახავდნენ სად სჩანს ქვეყნის ეკონომიკის შეუქცევადი განვითარების მყარ გარანტიებს.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველო“ -ს თავმჯდომარემ მ. ჩხიკვიშვილმა მადლობა გადაუხადა ამომრჩევლებს, მათ და მთლიან გუნდს მიულოცა გამარჯვება, მადლობა გადაუხადა ასევე მუნიციპალიტეტის მერიას სოფელ მშვიდობაურში განხორციელებული ინფრასტრუქტურული სამუშაოებისათვის.

დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ განაცხადა, რომ კომისიამ იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და მხარს უჭერს შესაბამისი განკარგულების დამტკიცებას.

55.3. .,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროგრამის შედგენის წესის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

გელა ჩავლეშვილი

განკარგულება თან ერთვის

მირებულ იქნა 26- ხმით

სხდომის თავმჯდომარემ დ. დარჩიამ განაცხადა, რომ მიესალმება მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ამ საკითხის შემოტანას, კარგია, რომ გათვალისწინებული იქნა მისი თხოვნა ბიუჯეტირებაში მონაწილება მიეღოთ არამარტო ქალაქის, არამედ სოფლების მოსახლეობასაც.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბიგვავამ განაცხადა, რომ გულდასმით გაეცნო პროექტს, მაგრამ პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოები უნდა მოეწროს მიმდინარე წლის 15 ნოემბრამდე, რათა აისახოს მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტში, რაც მისი აზრით, ძნელი განსახორციელებელია, ამიტომ მიზანშეწონილად მიიჩნია მონაწილეობითი ბიუჯეტების ქვეპროგრამა აისახოს 2025 წლის ბიუჯეტის პროექტში და მისი დამტკიცების შემდეგ შესაბამისი წლის I კვარტალში. მასში მოპსალოდნელი ცვლილებების დროს მოხდეს კონკრეტული პროექტების მიხედვით მისი ასახვა. თანამომხსენებელმა გ. ღურჯუმელიძემ უპასუხა, რომ მომავალი წლიდან ეს საკითხი დარეგულირებული იქნება სამართლებრივად, მიმდინარე მომენტისათვის კი საკითხი მოგვარდება ბიუჯეტში კანონით გათვალისწინებული სხვა ცვლილების (გარდამავალი ნაშთების) ასახვისთან ერთად.

დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ გ. ჩავლეშვილმა განაცხადა, რომ კომისიამ იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და მხარს უჭერს მის საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე დაყენებას.

4. სხვადასხვა საკითხები (მიმართვები, განცხადებები.

სხდომა დახურულად გამოცხადდა.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი